საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2137
31/05/2022

2137-21-2-202205311312

შპს „მმმ ჯგუფს“
მის: ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №251
ელ. ფოსტა: mailto:mmmgroup115@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1606 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის №251-ში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების ტიტულიან ბლანკზე მითითებულია შემდეგი ჩანაწერი: „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო“, რაც გაურკვეველია და საჭიროებს კორექტირებას;
- დოკუმენტში მოცემული GPS კოორდინატები საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის shp ფაილები;
- სკრინინგის განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- დოკუმენტის მიხედვით, „საწარმოს ტერიტორიაზე სარკოფაგის ტიპის მიწისქვეშა საცავში განთავსდება ნავთობპროდუქტების შესანახი 4 ავზი, თითოეული 62,4 $მ^3$ მოცულობის. მათ შორის 3 ავზი, ჯამში 187,2 $მ^3$ მოცულობის, განკუთვნილი იქნება დიზელის საწვავისათვის, ხოლო 1 ავზი (62,4 $მ^3$ მოცულობის) გაყოფილი იქნება 4 ნაწილად (15+15+10+22.4) და ამათგან 3 (15+15+10) განკუთვნილი იქნება ბენზინისთვის, ხოლო ერთი (22,4 $მ^3$) დიზელის საცავი იქნება“. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს დიზელის რეზერვუარების რაოდენობა და საერთო მოცულობა;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, მე-4 თავში აღნიშნულია, რომ ავტოგასამართი სადგურის როგორც

მოწყობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნით, ამასთან, ამავე თავში აღნიშნულია, რომ წყალი გამოყენებული იქნება მხოლოდ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წყლის გამოყენებასთან დაკავშირებულის საკითხი;

- დოკუმენტში მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება 6-ტონიანი წყლის სარეზერვო ავზი, თუმცა მოცემული არ არის მისი დანიშნულების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, მე-4 თავში აღნიშნულია, რომ ჩამდინარე წყლები ჩაედინება სანიაღვრე არხში, ხოლო შემდგომ მდინარე ჭოროხში. ამავე თავში მითითებულია, რომ ჩამდინარე წყლები ჩაეშვება საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ ბუნებრივ არხში. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- წარმოდგენილ დოკუმენტში ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით გათვალისწინებული ობიექტი რიგ შემთხვევაში მოხსენიებულია როგორც სალექარი, ხოლო რიგ შემთხვევაში - როგორც გამწმენდი ნაგებობა, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ობიექტის სახელწოდება;
- დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავის გარდა ასევე დაგეგმილია ღია ავტოსადგომების, ავტოშემკეთებელი „ბოქსების“, კვების ობიექტის, მძღოლების მოსასვენებელი შენობა-ნაგებობისა და სანიტარულ-ჰიგიენური კვანძის მოწყობა. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია აღნიშნული ობიექტების მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების შემდგომი მართვის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების ფარგლებში წარმოქმნილი გრუნტის შემდგომი მართვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო